ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიების სხდომის

ო ქ მ ი N40

სხდომის ჩატარების თარიღი: 2024 წლის 30 იანვარი, 14:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობა, სხდომათა დარბაზი N210, რუსთაველის გამზ.N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების გაერთიანებულ სხდომას თავმჯდომარეობდნენ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ამირან კოპალეიშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, კობა გურული, დავით ბახტაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:
ირაკლი შენგელია, გია ბასილაძე, ელეონორა არჩაია, მარეხი ნიჟარაძე, მერაბ ჭოხონელიძე.

სულ: 17 წევრი.

არ ესწრებოდნენ: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 7 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თ. ბერიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მ. კუბლაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ი.საღინაძე,** აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ"

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

4.„ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის N112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5.ქალაქ ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის N39 ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

6.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

9.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 17 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის -„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ. მახარაძე:** „ცვლილებები შედის მიმდინარე წლის ბიუჯეტში- საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ, ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი გადანაწილდა შესაბამის პროგრამულ კოდებზე, ბიუჯეტში აისახა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 და N2402 განკარგულებები და თითქმის მთლიანი თანხები ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე გადანაწილდა. ესენია: გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა, საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი სახლების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია და სხვა. შესაბამისად, გაიზარდა შემოსულობებისა და ხარჯების გეგმა **10 905,7** ათასი ლარით, ამ ცვლილებით ჩვენი ბიუჯეტი შეადგენს **126 416,4** ათას ლარს, დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს."

ბატონმა **დ.ნიშნიანიძემ** აქვე განმარტა: „მიზანშეწონილი და საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემდეგი ცვლილების განხორციელება: საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ, ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი გადანაწილდა შესაბამის პროგრამულ კოდებზე. ბიუჯეტში აისახა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 და N2402 განკარგულებები და ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე

გადანაწილდა 10894,6 ათასი ლარი, შესაბამისად გაიზარდა შემოსულობებისა და ხარჯების გეგმა 10905,7 ათასი ლარით. I ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 126416,4 ათას ლარს".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის **წევრი გ.შუშანია:** „სპორტსკოლაში არ არის გათბობა ჩართული, ბავშვები ცივ ამინდში ვერ ვარჯიშობენ შესაბამის პირობებში".

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას" არ ჰქონდა გადაცემული აღნიშნული შენობა დაქვემდებარებაში, შესაბამისად, როგორც აბონენტის მიერ, ვერ განხორციელდა „სოკარ ჯორჯია გაზისთვის" მიმართვა, რათა ჩართულიყო ბუნებრივი აირის გათბობა.

კომისიის წევრი, ბატონი **კ. გურული:** „35-ე სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია არ არის შეტანილი ქუჩების ჩამონათვალში, რომელიც ამ ცვლილების დროს უნდა მოგვარდეს და იქნებ გავამახვილოთ ყურდღება ამ საკითხზე."

კომისიის წევრი, ბატონი **ი. შენგელია:** „მე აღნიშნულთან დაკავშირებით გავაკეთე კომენტარი, მათ შორის საჯაროდ, უკვე დაპროექტებულია 35-ე სკოლასთან მისასვლელი გზა, თანხა აისახება მოკლე ხანში რეგიონალური ფონდიდან, თუმცა შეფერხების შემთხვევაში ვფქრობ, ადგილობრივი ბიუჯეტითაც დავიწყოთ ეს საქმე."

ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა კომისიის წევრი, **ბატონი გ. შუშანია:** „თქვენს მიერ გაჟღერებულ პროექტების ჩამონათვალში 250 ათას ლარი რისთვის არის განკუთვნილი?"

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ. ნიშნიანიძე:** „ეს 250 ათასი ლარი სუფსიდიის თანხაა, რომელსაც ვაძლევს მე-4 პოლიკლინიკას, იგი თავისი ხარჯებით ახორციელებს ერთ-ერთი სართულის რეაბილიტაციას და 250 ათას ლარიანი თანადაფინასებით შევდივართ ჩვენ."

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „ამ საკითხზე მინდა აღვნიშნო, რომ გათვალისწინებულ იქნა ჩვენი კომისიის ინიციატივა."

ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, ბატონი **გ. შუშანია:** „გასაგებია, პოლიკლინიკა შენობის რეაბილიტაციის გარეშე საქმიანობის ნებართვას ვერ აიღებს".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 17 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ

კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-16 წევრი, თავი შეიკავა- დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორეე საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ"

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ**

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 17 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ"

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ"

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა:**

I კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	იანვარი
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	მარტი
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და	მარტი

		საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	

II კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	აპრილი
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	აპრილი
3	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" ხელმძღვანელი	მაისი
4	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ხელმძღვანელი	მაისი
5	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვასა და განკარგვასთან	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი	ივნისი

	დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ	თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	
6	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „პარკინგსერვისის“ ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „პარკინგსერვისის“ ხელმძღვანელი	ივნისი

III კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	ივლისი
2	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ხელმძღვანელი	ივლისი
3	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	აგვისტო
4	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელი	სექტემბერი
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	სექტემბერი

IV კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში (2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე) გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ხელმძღვანელი	ოქტომბერი
2	ზამთრის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	ნოემბერი
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	ნოემბერი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი	დეკემბერი
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	დეკემბერი

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 17 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ"

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის N112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა მამუკა კუბლაშვილმა.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „2019 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო N112 დადგენილება, რომლითაც მოსაკრებლის რაოდენობა განისაზღვრა კვადრატულ მეტრზე, K^2-ით საანგარიშო ფართზე 4 ლარით, მოსაკრებლის შესახებ კანონში შევიდა ცვლილება და 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა 8 ლარის ოდენობით, ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან კანონში განსაზღვრულია 10 ლარამდე ზრდა. როგორც იცით, მშენებლობის ნებართვის მისაღებად განსაზღვრულია 3 ეტაპი, პირველი-მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობის დამტკიცება, სადაც დგინდება კოეფიციენტები, შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილი და ა.შ., მეორე არის პროექტის შეთანხმება და მესამე-მშენებლობის ნებართვა, ამის დროს იქნება გადახდილი ზემოაღნიშნული მოსაკრებელი. ქუთაისში დიდია მშენებლობის კუთხით მოთხოვნილება, შემოდის უამრავი პროექტი, დამერწმუნეთ მენაშენეებისათვის ეს თანხა არ წარმოადგენს ბარიერს, თუმცა წინა წელს, თქვენი კეთილი ნებით არ მოხდა გაზრდა 6 ლარამდე ამ მოსაკრებლისა, ამით ბიზნესის ხელშეწყობაც გამოვიდა და 6-ის ნაცვლად

იხდიდდნენ კვლავ 4 ლარს, თუმცა კანონში იყო უკვე ცვლილება შესული 2022 წლის ნოემბრის თვეში და თქვენი თანხმობის გარეშე აღნიშნულ დადგენილებაში არ შევიდა ცვლილება მაშინ ამ კუთხით, გარდა ამისა, თქვენ მოსაკრებლის გადასახადისაგან გათავისუფლებული გყავთ ინდივიდუალური საკუთარი სახლები, გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა, ერთ და ორბინიან სახლებზე მაქვს საუბარი."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე**: „წინა ეტაპზე თუ არ გაზარდა საკრებულომ ეს მოსაკრებელი, რა ფაქტორები შეიცვალა პირობითად ახლა, რომ გვქონდეს მხარდაჭერის მოტივაცია?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ჩვენ ვაწარმოებთ მომართვიანობის მონიტორინგს და ამის მიხედვით მოგმართავთ თქვენ, საკანონმდებლო ორგანოს, ამ ცვლილების შეტანის ინიციატივით, რადგან აღვნიშნავ, რომ მომართვიანობა ძალიან გაზრდილია არამხოლოდ ჩვენი ადგილობრივი, არამედ უცხოელი მოქალაქეების მხრიდანაც."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ი.შენგელია**: „ყველაზე მთავარია, რომ ქალაქში დეველოპმენტის ინტერესი აშკარად მოჭარბებულია, შემოსულ საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ ჩვენ ვიყენებთ სამართლებრივ მექანიზმებს, რათა ეს შენობა არ დაემსგავსოს ბათუმისა და თბილისის მაგალითებს, ვიყენებთ იმ ბერკეტებს, რომელიც სამართლებრივად გამართლებულია და პროცესის დამორჩილების საშუალებას მოგვცემს, გარდა იმისა, არ დაზიანდეს ქალაქის ინტერესი და არქიტექტურული ნაწილი, ამავდროულად ბიზნესს ჰქონდეს საშუალება განვითარდეს, აქედან გამომდინარე, გდგ-ს ნაწილი პრეცენდენტულია, ჩემი აქ ყოფნის 7 წლის განმავლობაში გდგ-ს დავალება საკრებულოზე მისაღებად არ შემოსულა, ამავდროულად ჩვენ მივდივართ იმ სამართლებრივი გზებით, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად ეს პროცესი არ დაზიანდეს, ახალი წლიდან გაზრდილი ინტერესების პირობებში გადავწყვიტეთ, რომ ორგანული კანონიდან გამომდინარე უპრიანი იქნებოდა მოსაკრებელი გაგვეზარდა."

კომისიის წევრი, ბატონი **კ.გურული**: „ხომ არ გაქვთ რაიმე წინასწარი სტატისტიკა ან პროგნოზი რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს? მოგეხსენებათ მზარდია დეველოპერული ინტერესი და რა მოცულობის თანხა შეიძლება მოგვცეს ამან ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „მშენებლობასთან დაკავშირებით ინტერესი დიდია ბიზნესმენების მხრიდან, დაახლოებით ვფიქრობ 2,5-ჯერ მაინც გაიზრდება შემოსავალი, რომელიც წინა წელს დაახლოებით 960 000 ლარს შეადგენდა."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 17 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-13 წევრი, თავი შეიკავა- ელეონორა არჩაიამ, ხათუნა არველაძემ, დავით ბახტაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის N112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის N39 ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის** მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი შეეხება განაშენიანების დეტალურ გეგმას, გაგაცნობთ მოკლედ, საუბარია ყოფილი ციხის ტერიტორიაზე, ტაბიძის ქუჩაზე, რომელიც შეიძინა ინვესტორმა და სურს ააშენოს შენობა-ნაგებობები გდგ-ს მიხედვით სწორად დალაგებულად, ადრეც მოგვმართა მან, სურდა მაღალსართულიანი ბინების აშენება, ხოლო ახლა წარმოდგენილი მაკეტის მიხედვით სართულების რაოდენობა 5-დან 7-მდე მერყეობს, რომელიც წარმოდგენილი იქნება კარგად შერწყმული შენობების სახით."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **მ.რიჟამაძე**: „გავეცანით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, დაიმსახურა მოწონება, ვფიქრობ, კვლევის კუთხითაც სრულყოფილია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ჩვენი ქალაქი ისეა დაგეგმარებული, რომ თითქმის ყველა ქუჩიდან ჩანს დიდებული ბაგრატის ტაძარი, ე.წ. სტეკლოტარიდანაც კი, რომ გახედავთ აქედანაც ჩანს და თუ დააკვირდებით სასტუმრო თბილისის სართულიანობაც არ კეტავს ხედვის არეალს ამ კუთხით, ამიტომ წარმოდგენილ გდგ-ს გეგმას საფუძვლად უდევს ისეთი გათვლა, რომ ეს კანონზომიერება არ დაირღვეს და არ იყოს რაიმე ბარიერი ხედვის არეალთან მიმართებაში."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ი.შენგელია**: „კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი, ეს პრეცენდენტია, რომ საკრებულოს დღეს მსჯელობა უწევს გდგ-ზე, პირველი ვიტყვი, რომ ეს საკითხი პოლიტიკურად დადებითად შესაფასებელია, მეორე-მნიშვნელოვანი საკითხია ბიზნესსექტორის მხრიდან ქალაქის ინტერესი, რაც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი მოქალაქეების დასაქმებას, გარდა ამისა ეს კონკრეტული ნაწილი არ არის ქალაქის ურბანული ნაწილი, სადაც განაშენიანების ის ტიპი დავაწესოთ, რომ მაღალსართულიან შენობას ქონდეს აშენების საშუალება, ეს ზონა არის ქალქის ცენტრალური და ისტორიული ნაწილის მიჯნა და ვფიქრობ, აქ წარმოდგენილ გეგმაში აქცენტი გაკეთებულია ქალაქის ცენტრალური უბნისა და ისტორიული არეალის სასარგებლოდ და მე ვიზიარებ ამ პოზიციას."

კომისიის წევრი, ბატონი **ზ.მამასახლისი**: „უკეთესი იქნება თუ მაღალსართულიანი შენობების მშენებლობის თემას გადავიტანთ ქუთაისის შემოგარენში, გამომდინარე იქედან, რომ ქუთაისს გააჩნია ამის პოტენციალი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „გდგ არის ფართო დოკუმენტი, სადაც გათვალისიწინებულია სატრანსპორტო საკითხიც, ხდება შესწავლა იქ არსებული მოსახლეობის, ტრანსპორტის რაოდენობის და გათვლა ხორციელდება იქ არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, იმის თქმა მინდა, რომ გდგ მხოლოდ სართულიანობას არ განსაზღვრავს, არამედ მოიცავს მთლიანად ქალაქში არსებულ სიტუაციას მრავალმხრივი კუთხით, ასევე ითვალისწინებს მომავლის პერსპექტივას თუ რანაირად შეიძლება განვითარდეს ქალაქი, მე გეთანხმებით იმ ინიციატივაში, რომ მაღალსართულიანი ბინათმშენებლობით დაიტვირთოს უფრო გარეუბნები, თუმცა ინვესტორი, რომელმაც იყიდა მიწა ვერ დავაზარალებთ, უნდა მოვაქციოთ უბრალოდ კანონის ჩარჩოებში და მოვარგოთ ქალაქის იერსახეს."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია:** „მეც დავაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას, გეთანხმებით, რომ უნდა გავითვალისწინოთ ინვესტორის ინტერესი, მე უბრალოდ მიმაჩნია, რომ ერთი და იგივე ტიპის ერთმანეთზე მიწყობილი შენობები გამოიწვევს ე.წ. საბჭოთა ტიპის დასახლების შექმნას, ის რომ იქ 4 სართულიან ან 6 სართულიან შენობებზე მაღალი შენობები დაარღვევს იერსახეს, ვერ მივიღებ არგუმენტად, გამომდინარე იქედან, რომ თუ გადავხედავთ ახლო შემოგარენს, იქ არის მსგავსი ტიპის მაღალი სასტუმროები თუ ბინები და შესაბამისად ვფიქრობ, ეს დაბალი ერთმანეთის მსგავსი შენობები უსახურ უბანს მოგვცემს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი **მ.კუბლაშვილი:** „მე კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ეს არ არის მშენებლობაზე თანხმობა, თქვენ მხოლოდ ინიცირებაზე თანხმობას უჭერთ მხარს და შესაბამისად ამის შემდეგ იწყებს ინვესტორი უბრალოდ მოქმედებას, ამის შემდეგ კიდევ ორი ეტაპია გასავლელი და აუცილებლად თქვენი თანხმობა იქნება საჭირო შემდეგშიც."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 17 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-14 წევრი, თავი შეიკავა- ხათუნა არველაძემ, დავით ბახტაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის N39 ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილიმა**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საპრივატიზაციო ნუსხაში ემატება რამდენიმე ობიექტი, ესენია ფოთის ქუჩა N11-ის სამხრეთით, 856 კვ.მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, კრილოვის ქუჩის მიმდებარედ 345 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, ჰერმანგ მაინერის ქუჩის N2-ის აღმოსავლეთით 3115 კვ მეტრის ფართობის მიწა, შენობა-ნაგებობით, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ბ, 744 კვადრატის ფართობის მიწის ნაკეთი და შენობა-ნაგებობა(723,52კვ.მეტრი), თაბუკაშვილის ქუჩა N189ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთი(1017,7კვ.მეტრი) და შენობა-ნაგებობა(28,18კვ.მეტრი)."

დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია**: „ჭავჭავაძეზე არსებულ რომელ ობიექტზეა საუბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი**: „ჭავჭავაძის 53ბ-ში არსებული ბაზრობა, ამ ეტაპზე გაიჯარებულია სხვადასხვა პიროვნებებზე და შეგვაქვს ნუსხაში."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 17 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პაატა ლილუაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილიმა**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.
ღია კენჭისყრით, (მომხრე-16, თავი შეიკავა-გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი

თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილიმა**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „სპეციალურ სერვისებს" გადავცემთ ნაგვის კონტეინერებს."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილიმა**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „აღნიშნულ ააიპ-ს მოვლა-პატრონობისათვის გადაეცემა ელექტრომობილების დასამუხტი აპარატები."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე
ბაქარ მახარაძე